№2527 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ავტომობილთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ

„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის დაშვებულ იქნეს გამონაკლისი სამორიგეო ავტომობილის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე ამავე წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვიდან და სამორიგეო ავტომობილთა რაოდენობა განისაზღვროს 30 (ოცდაათი) ავტომობილით, მათ შორის, 26 (ოცდაექვსი) მაღალი გამავლობის ავტომობილით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**